განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ხდება გარდაბნის აღკვეთილის საზღვრის ცვლილება, კერძოდ აღკვეთილის ტერიტორიის ზრდა მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე წარმოდგენილი ჭალის ტყის ტერიტორიის ხარჯზე. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ჭალის ტყის ეკოსისტემას. მტკვრის სანაპირო ზოლში, იქ სადაც მდინარე მტკვარი ემიჯნება ღია ფართობებს წარმოდგენილია ჭალის ტყის პირველი ტერასა. აქ გვხვდება იალღუნის, ტირიფისა და ვერხვის ერთეული ეგზემპლიარები, რაც წარსულში ტირიფისა და ვერხვის ნათელი ტყეების არსებობაზე მიუთითებს. ჭალის ტყის სამხრეთ ნაწილში მდინარისპირა ნათელი ტყეებია. აღნიშნული გამოწვეულია ღარიბი, ალუვიური, ჰუმუსოვან ფენას მოკლებული კალაპოტისპირა ქვიანი, კაჭარი და ქვიშიანი ნიადაგებით. მდინარე მტკვარის კალაპოტიდან ოდნავ მოშორებით, სანაპირო ზოლს მტკვრის ჭალის მე-2 ტერასაზე ჭალა-ბარის ტყეში გვხვდება მუხნარები ჭალის თელა და ვერხვნარები ერთეული სახით. ვერხვნარ კორომებში ზოგიერთ მონაკვეთზე ჯგუფებად არის წარმოდგენილი ჭალის მუხა, სადაც ჭალის მუხის გოლიათი ეგზემპლიარებიც გვხვდება, რომელთა დიამეტრი 80 სანტიმეტრს აღემატება. აღნიშნულ ჭალის ტყის ტერიტორიაზე, წარმოდგენილია, როგორც მეჩხერი ასევე დაბალი სიხშირის ტყეები, რომლის დაახლოებით 25% წარმოდგენს საშუალო სიხშირის ვერხვნარი, ქვეტყითა და ხვიარა მცენარეებით, სადაც გაუვალი მონაკვეთები იქმნება სუროს, კატაბარდას, მაყვლის და ეკალღიჭის სიჭარბის გამო. ვერხვებიდან ძირითადად პირველ იარუსში გვხვდება ხვალო და ოფი, რომელთა სიმაღლე აღწევს 28-30 მეტრს. მე-2 იარუსში გვხვდება თელა, კუნელი, თუთა, ფშატი, ჭალის მუხა. ზოგიერთ მონაკვეთზე ჭალის მუხა შესაძლებელია მიეკუთვნოს პირველ იარუსს, რომლის სიმაღლე აღწევს 19-21 მეტრს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ბუნებრივი განახლების ხელის შეწყობის და აქტიური ტყის აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების ხარჯზე შესაძლებელია სრულად აღდგეს ჭალის ტყის ეკოსისტემა (უპირატესად საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ჭალის მუხისა და თელის გამრავლების გათვალისწინებით). მნიშვნელოვანია ქალაქ რუსთავის მდ. მტკვრის სანაპირო ზოლთან და გარდაბნის აღკვეთილთან კავშირში ურბანული ტერიტორიების სიახლოვეს საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ისეთი ძუძუმწოვართა საბინადრო გარემოს აღდგენის და მათი გამრავლებისთვის, როგორიც არის ფოცხვერი, წავი, ლელიანის კატა, კეთილშობილი ირემი და ხელფრთიანების წარმომადგენლები. ტერიტორია შესაძლოა ასევე ხელსაყრელი იყოს მობუდარი, (ქათმისებრთათვის) და გადამფრენი ფრინველებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ტერიტორიას მიენიჭება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) კრიტერიუმების მიხედვით IV კატეგორია - აღკვეთილის სტატუსი, რადგან - „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს

კანონის შესაბამისად, აღკვეთილი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმის ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზებისა და არაორგანული ბუნების წარმონაქმნების შესანარჩუნებლად საჭირო ბუნებრივი პირობების დასაცავად, რაც ადამიანის მიერ სპეციალური აღდგენითი და მოვლითი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს. აღკვეთილში მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსების მოხმარება. აგრეთვე, აღკვეთილი საჭიროებს ეროვნულ და ცალკეულ შემთხვევებში, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორიას ან/და აკვატორიას, სადაც ცოცხალ ორგანიზმთა იშვიათი, უნიკალური, დამახასიათებელი და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობები და ეკოსისტემის ცალკეული მნიშვნელოვანი კომპონენტებია წარმოდგენილი.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოში დაცული ტერიტორიების შექმნის, ტერიტორიული გაფართოებისა და დაცვითი კატეგორიის ამაღლების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი. შესაბამისად, ახალი დაცული ტერიტორიის დასაარსებლად აუცილებელია წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, გარდაბნის აღკვეთილის ფართობი გაიზრდება 42,3 ჰა-თი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ცვლილება ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის (რომელიც აწესრიგებს გარდაბნის აღკვეთილის სტატუსს, ფართობსა და საზღვრებს) პირველ და მეორე პუნქტებში და გარდაბნის აღკვეთილის ფართობი იზრდება 42,3 ჰა-თი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი შეესაბამება 2025-2028 წლების სამთავრობო პროგრამას - „მხოლოდ მშვიდობით ღირსებით კეთილდღეობით ევროპისკენ“ (პროგრამის 2.11 ქვეთავის (გარემოს დაცვა): „განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება დაცული ტერიტორიების გაფართოებისა და განვითარების მიმართულებაზე. 2028 წლისათვის დაცული ტერიტორიების ფართობი დამატებით 100 000 ჰექტარით გაიზრდება".

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მისი ამოქმედებისათვის დამატებითი პირობები ან ვადები არ არის საჭირო და მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალო ვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი. კერძოდ, სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე. ვინაიდან შემოერთებული ტერიტორიის მართვასაც განახორციელებს სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, ყოველწლიურად დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.
გარდაბნის აღკვეთილის მართვას ახორციელებს სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია და შესაბამისად შემოერთებული ტერიტორიის (42.3 ჰა) მართვასაც განახორციელებს ეს ადმინისტრაცია არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსის ფარგლებში. დაფინანსება განხორციელდება სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის ყოველწლიურად დამტკიცებული ბიუჯეტიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზეც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტს არ ექნება ფინანსური შედეგები იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების

შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები;
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.